


საინფორმაციო ფურცელი

ქონების დაზღვევა PRO/001/19-1



გამარჯობა

თქვენ ეცნობით ქონების დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

ვინ არის მზღვეველი?

მზღვეველი ორგანიზაციაა: სს „თიბისი დაზღვევა“ (ს/კ 405042804);

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N 24ბ;

ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+995 32) 242 22 22.

დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს ქონების დაზღვევის პირობების შესახებ მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შექმნის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი „პოლისი“, რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. თქვენს მიერ დაზღვევის შექმნა გულისხმობს, რომ დაეთანხმეთ საიტზე განთავსებულ და პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს N PRO/001/19-1.

რა არის დაზღვეული?

- შიდა მოპირკეთება (რემონტი) და შიგთავსი (ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა).
- დამატებითი დაფარვა: მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობს დაზღვევას და იჯარით გაცემული ქონების დაზღვევა;

რა ტერიტორიაზე ვრცელდება დაზღვევა?

სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი, სადაც მდებარეობს/განთავსებულია დაზღვეული ქონება და რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვა.

სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ იმ ტერიტორიულ ფარგლებში, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში (დაზღვევის ტერიტორია).

დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების დროს სადაზღვევო დაფარვა არ იმოქმედებს.

სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი არის სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლებზე.

რისგან ხართ დაზღვეული?

➤ სექცია I - ქონების დაზღვევა

- 1.1. ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, კვამლით დაზიანება;
- 1.2. ქურდობა დაზღვევის ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა, მესამე პირის მიერ ჩადენილი ვანდალიზმი;
- 1.3. სეტყვა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი;
- 1.4. მილსადენების და ელექტრო გაყვანილობის მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა;
- 1.5. მეზობელი ფართიდან შემოსული წყლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;
- 1.6. საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო მილსადენების მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ფართის დაზიანება;

სადაზღვევო თანხა/ ანაზღაურების ლიმიტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- შიდა მოპირკეთებაზე - მაქსიმალური ანაზღაურების ლიმიტი 1მ²-ზე - 300 ლარი;
- ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემთხვევაში - მაქსიმალური ანაზღაურების ლიმიტი - 20 000 ლარი;

➤ სექცია II - მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა

1. მესაკუთრეზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირის ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების დაუდევრად ფლობითა და განკარგვით.

სადაზღვევო თანხა/ ანაზღაურების ლიმიტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 10 000.00 ლარი, მაგრამ, არაუმეტეს 300.00 ლარი 1მ²-ზე შიდა მოპირკეთების (რემონტი) დაზიანების შემთხვევაში;

➤ სექცია III - იჯარით გაცემული ქონების დაზღვევა

1. I-ლი სექციით გათვალისწინებულ დაფარულ რისკებს ემატება:
 - დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების დაზიანება მისი დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად;
2. II სექციით გათვალისწინებულ დაფარულ რისკებს ემატება:
 - მესაკუთრეზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა დამქირავებლის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის ტერიტორიაზე, დამზღვევის მიერ დაზღვეული ქონების დაუდევრად ფლობითა და განკარგვით

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ:

დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია, თქვენს მიერ შერჩეული და მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, რასაც ასახული იქნება პოლისში. თქვენი ფინანსური თანამონაწილეობა, ასევე შესაძლოა განისაზღვროს ფრანშიზის ოდენობით, რომლის ოდენობა მითითებული იქნება პოლისში. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე გასაცემ ანაზღაურებას დააკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობა.

ფრანშიზა:

- სექცია I - ქონების დაზღვევა: ზარალის 5%, მინ. 150 ლარი, თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე;
- სექცია II -მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა: 150.00 ლარი თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე;

როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?

დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანის გადახდისას, მაგრამ არაუადრეს სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი თარიღის 24 საათისა და მოქმედებს პოლისში მითითებული ვადის ბოლო თარიღის 24 საათამდე.

სადაზღვევო შემთხვევებზე ითვლება მხოლოდ ის მოვლენები, რომელიც დადგა პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ და არაუგვიანეს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღისა.

როგორ მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:

- ✓ სადაზღვევო შემთხვევის დროს დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ცხელ ხაზზე - 2 42 22 22. აღნიშნული შეტყობინება წერილობით უნდა იყოს დადასტურებული სადაზღვევო შემთხვევის ცხელ ხაზზე დაფიქსირებიდან 72 საათის განმავლობაში.
- ✓ დამზღვევმა უნდა შეასრულოს მზღვეველის მითითებები;
- ✓ დამზღვევი ვალდებულია გამოიძახოს საპატრულო პოლიცია მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი) შემთხვევაში, ხოლო ხანძრის ან აფეთქების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სახანძრო დეპარტამენტი, საავარიო სამსახური).

რა არ ანაზღაურდება?

- **სექცია I-ით დაზღვევას არ ექვემდებარება:**
 - ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბულალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია;
 - მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და მსგავსი;
 - ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, ძვირფასი ქვები, ანტიკვარიანი, ნებისმიერი სახის კოლექცია და საკოლექციო ექსპონატი ასევე ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები;
 - ინფორმაციის მატარებლები; კომპიუტერული პროგრამები, ელექტროინფორმაციის დროებითი შენახვის და გადატანის საშუალებები;
 - საბრძოლო მასალა და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები;
 - დაზღვეული ქონების გარეთ მდებარე ელექტრო გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;
 - ცხოველები, ფრინველები, ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები;

- შენობის გარე ფასადზე დამონტაჟებული / განთავსებული ქონება (მათ შორის ტენტები), გარდა გათბობა -გაგრილების სისტემებისა;
- კვების პროდუქტები;
- ქონება, რომელიც მდებარეობს დაზღვევის ტერიტორიაზე, მაგრამ არ ეკუთვნის მესაკუთრეს (მათ შორის შესანახად მიზარებული ქონება);
- უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ავარიულად აღიარებულ შენობაში განთავსებული ქონება;
- ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით, მათ შორის: ავტო-ფარეხი, საცურაო აუზი, საცხოვრებელ სახლში მეზობლების საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება, სამეურნეო ნაგებობი ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად;
- მხატვრულად დამუშავებული მინები;
- **სექცია II არ ფარავს პასუხისმგებლობას ქონებრივ ზიანზე, რომელიც მიადგა:**
- მესაკუთრის საკუთრებას, მის მიერ იჯარით აღებულ ან ფაქტობრივად დაკავებულ ქონებას;
- მესაკუთრის მიერ მიტოვებულ, ან მესამე პირისთვის გადაცემულ უძრავ ქონებას, თუ ზარალი გამოწვეულია ასეთი ქონებით ან მისი ნაწილით;
- ისეთ ქონებას, რომელიც მიზარებული აქვს მესაკუთრეს (მიზარებული ქონება);
- იმ პირის პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელსაც სარგებლობის უფლებით აქვს აღებული დაზღვევის ტერიტორია;
- მესამე პირის ქონებას დამზღვევის განზრახ ქმედების ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.
- **სექცია II-ით ასევე არ იფარება:**
- მესამე პირის ჯანმრთელობაზე მიყენებული ნებისმიერი ზიანი;
- მორალური ზიანი;
- პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ჯარიმაზე;
- მიუღებელი შემოსავალი.
- **III სექციით არ იფარება**
- თავად დამქირავებლის საკუთრებაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი;

საერთო გამონაკლისები

- ომი (გამოცხადებული და გამოუცხადებელი), შემოჭრა, ნებისმიერი სახის საომარი ქმედებები და მათი შედეგები, სამოქალაქო ომი, ამბოხება, სამოქალაქო მღელვარება, შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია, ნებისმიერი აღიარებული ან არაღიარებული ხელისუფლების შეიარაღებული ძალების თავდასხმა; სამხედრო ღონისძიებები; რევოლუცია, ამბოხი, ტერორისტების (მათთან დაკავშირებული პირების) ქმედებები; ასევე მათ ჩახშობაზე მიმართული ხელისუფლების ქმედებები, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა, გაფიცვები;
- ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია, ნაციონალიზაცია, დაყადაღება, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების

- განკარგულებით/ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება, ჩამორთმევა ან დაზიანება;
- ამორტიზაცია, ცვეთა, კოროზია, ეროზია, ჟანგვა, ნალექების დაგროვება, დანესტიანება;
 - შინაური ცხოველების/ფრინველების, ქვეწარმავლების, მწერების, მღრღნელების ან სხვა მავნებლების მიერ გამოწვეული დაზიანება;
 - დაზიანება გამოწვეული ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამზღვევის, მესაკუთრის ან მათი ოჯახის წევრის ქმედებით;
 - დამზღვევის, მესაკუთრის ან მათი ოჯახის წევრების, მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაზღვეული ქონების დაზიანება.
 - საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლის დეფექტები ან მომწოდებლის მიერ გაცემული გარანტიით დაფარული ხარჯები;
 - პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით/განადგურებით გამოწვეული ზარალი, მათ შორის ინფორმაციის აღდგენის ხარჯები.
 - სადაზღვევო პერიოდის ძალაში შესვლამდე არსებული შემთხვევები და ასევე სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე დაფიქსირებული მოვლენით გამოწვეული ზიანი (რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისთვის);
 - დაზღვევის ტერიტორიაზე მიმდინარე სარემონტო/სამშენებლო/სამონტაჟო ან სხვა სახის სამუშაოებით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანი;
 - სადაზღვევო პერიოდში გამოვლენილი დაზღვეული შენობის მშენებლობის, საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტი;
 - დაზღვეული ქონების ნებისმიერი სახის შინაგანი მექანიკური დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა, არაპირდაპირი ზარალი გამოწვეული დაზღვეული რისკების შედეგად;
 - ზიანის პროვოცირება, ინსცენირება ან გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა;
 - ზიანი, რომელიც დადგა დაზღვეული ქონების უწყვეტად 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის დროს;
 - დაზღვეულისგან განსხვავებული რისკით გამოწვეული ზიანი;

ანაზღაურების ძირითადი პირობები

დაზღვევის პერიოდში, ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის/პასუხისმგებლობის ლიმიტით.

მზღვეველი უფლებამოსილია დაზიანებული ქონების სახეობიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება თუ რომელი ღირებულებით იხელმძღვანელებს ანაზღაურების გაცემისას: დაზიანებული ქონების აღდგენითი ღირებულებით, თუ ჩანაცვლებითი ღირებულებით (პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით).

დაზღვეული ქონების დაზიანების შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნის (წერილობითი ფორმით) წარდგენის საფუძველზე გაიცემა მის დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა (უნაღდო ანგარიშსწორების გზით), მაგრამ არაუმეტეს პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხისა (პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით).

ზარალის დარეგულირება ხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის ზარალის რეგულირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

რამდენ დღეში ანაზღაურდება ზარალი?

ზარალის ანაზღაურება მხარეების მიერ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა ფინანსური ხარჯი

დაზღვევა შეიძლება შეწყდეს, როგორც თქვენი ასევე სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს.

პოლისის შეწყვეტა დამზღვევის მიერ წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში ხორციელდება.

პოლისის გაუქმების შემდგომ ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

დაზღვევა ასევე შეწყდება, თუ თქვენ არ იხდით სადაზღვევო პრემიას და პოლისში მითითებული გადახდის თარიღიდან გადაცილებულია 30 კალენდარული დღე (აქ იგულისხმება პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა).

მომხმარებელთა უფლებების დაცვა:

დაზღვევის პირობებით ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე: 242 22 22 ან ელექტრონული ფორმით ჩვენი ვებ გვერდიდან: www.tbcinsurance.ge. ასევე, შეგიძლიათ თქვენი საკითხი დააფიქსიროთ ჩვენს წარმომადგენელთან, მისამართზე:

- ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის 24ბ. II სართული;
- ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა #16;
- ქ. ფოთი, აღმაშენებლის #57;
- ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის #37;
- ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას #35;

თქვენს შეტყობინებას განიხილავს სატელეფონო ცენტრისა და ხარისხის მართვის განყოფილება, შეტყობინების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მონაცემთა დაცვა:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიის ცხელ ხაზზე შემომავალი ყველა ზარი იწერება.

თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება დაზღვევის პირობებში მითითებული მიზნებისთვის.

ინფორმაცია ჩვენი საზედამხედველო ორგანოს შესახებ:

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!